ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 4722314001**

თარიღი:**10/11/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის - ზაალ მამალაძის ანგარიში, 2021 წლის დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის

ოქმი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 31 ოქტომბერი 2022 წელი.

შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - მერიის სხდომათა დარბაზი.

შეხვედრას თვმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ზაალ მამალაძე;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ჯუმბერ ბერძენიშვილი;

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდმარე - ლაშა თოლორდავა;

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილ - ქეთევან სიხარულიძე;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ვლადიმერ სიხარლიძე;

სამანდატო, საპროცედურა საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - მარინე ბერაძე;

საკრებულოს აპარატის უფროსი-მერაბ ხუნდაძე;

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;

არასამთავრობო ორგანიზაცია - გურიის სამოქალაქო ცენტრის წარმომადგენელი - თამთა ცინცაძე;

ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ წარმომადგენლები;

ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის მოსწავლეები;

ამომრჩევლები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-მუხლის თანახმად, საკრებულოს წევრმა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზაალ მამალაძემ ამომრჩვლებს წარუდგინა 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით დღემდე გაწეული მუშობის შესახებ.

აღნიშნა, რომ არის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, გენდერული საბჭოს და სამოქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციის მუშაობაში, საკრებულოს მიერ მისაღები ნორმატიული აქტების პროექტების ინიცირებასა და მომზადებაში, მოქალაქეთა მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტაში. მუნიციპალიტეტის წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებისას ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მერიასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღნიშნა,

რომ მომავალში მისი საქმიანობის ძირითადი გამოწვევა იქნება თვითმმართველობისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმა. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური განვითარებისთვის ზრუნვა. ისაუბრა განვლილ პროცესში საკრებულოს მიერ მიღებულ მნიშვნელოვან ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე, განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ, სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განხორციელებულ პროექტებზე (ანგარიში თან ერთვის).

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დადებითად.

ზაალ მამალაძემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისთვის.

სხდომის თვმჯდომარე

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი